

სახეობათშორისი აგრესია სიმპატრულ მტაცებლებში
მგელსა (*Canis lupus*) და დათვში (*Ursus arctos*) ტყვეობის
პირობებში

ალექსანდრე ყოჩიაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და
საინჟინრო ფაკულტეტზე ეკოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო
ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამა - ეკოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფ. ნათია კოპალიანი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2018 წელი

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ალექსანდრე ყოჩიაშვილი

სარჩევი

აბსტრაქტი.....	1
შესავალი.....	2
მასალა და მეთოდები.....	6
შედეგები.....	15
დასკუსია.....	23
მადლობები.....	28
ბიბლიოგრაფია.....	29

აბსტრაქტი

შევისწავლეთ დათვის დათვთან, მგლის მგელთან და დათვის მგელთან განცხორციელებული აგონისტური ქცევები, რომლებიც მოთავსებულნი იყვნენ ორ სხვადასხვა ზომის შერეულ ვოლიერში. დიდ ვოლიერში (1.2 ჰა) გაშვებული იყო 7 ზრდასრული მურა დათვი (*Ursus arctos*), 1 ბელი და 4 რუხი მგელი (*Canis lupus*). პატარა ვოლიერში (0.05 ჰა) ბინადრობდა 2 მოზარდი მურა დათვი და 7 მოზარდი რუხი მგელი. კვლევის მიზანი იყო, გვეპოვნა კავშირი აგონისტური ქცევების სიხშირესა და სქესს, ასაკს, ვოლიერის ფართობს და კვებიდან გასულ დროს შორის. ასევე, დავითვალეთ დომინანტობის ინდექსი, გამოვავლინეთ არსებული სოციალური ქსელი და ავღწერეთ იერარქია. ამისათვის შედგა ქცევის კატალოგი, შემუშავდა ეთოგრამის მოდელი და ჩატარდა 134 საათიანი საველე სამუშაო. მიღებული მონაცემებს ჩაუტარდა სტატისტიკური ანალიზი, რის დროსაც გამოყენებული იყო კრუსკალ-უოლისის ტესტი, ვარიანსას უნივარიანტული ანალიზი და “ONE-WAY ANOVA”.

სამიეზო სიტყვები: მგელი (*Canis lupus*), დათვი (*Ursus arctos*), მგლების და დათვების ურთიერთობა, აგონისტური ქცევა, ქცევაზე მოქმედი ფაქტორები.